



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87. 87230608

თარიღი:01/03/2023

**განკარგულება №12**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2023 წელს გრძელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ახმეტის მუნიციპალიტეტშიც.

შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების თანახმად, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცემული სპეციალურ სახელმძღვანელოში აღწერილი პროცედურების მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტის 59 სოფელში ჩატარდა შესაბამისი საერთო კრება/კონსულტაცია, შედგა შესაბამისი ოქმები და მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა სოფლების მიხედვით პრიორიტეტული საპროექტო წინადადებები. საპროექტო წინადადებები წარმოდგენილია თანდართული ცხრილის სახით, აღნიშნული პროექტების სატენდერო დოკუმენტაციის დროულად მომზადებისათვის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების პირველი მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნის დაცვის მიზნით (მიმდინარე წლის 1 მაისამდე თანხის გაუნაწილებლობის შემთხვევაში დარჩენილი თანხა დაუბრუნდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების პირველი მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები თანდართული რედაქციით.
2. ეს განკარგულება გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება საჯაროდ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



| № | სოფელი             | განსახორციელებელი პროექტის დასახელება    | კატეგორია (დადგენილებით განსაზღვრული)              | საქართველის მთავრობის N168 განკარგულებებით გამოყოფილი თანხა | პროექტის სავარაუდო ღირებულება | თანადაფინანსება | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო თანხა |
|---|--------------------|--|--|---|-------------------------------|-----------------|--|
| 1 | 2                  | 3  | 4  | 5   | 6                             | 7               | 8  |
| 1 | სოფ.აწყური(463)    | 1.სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია | სასმელი წყლის სისტემები                            | 16000   | 20370                         | 5000            | 630  |
|   |                    | 2.სანიაღვრე არხის მოწყობა                | სანიაღვრე არხები                                   |   |                               |                 |  |
|   |                    | 3.გარე განათების მოწყობა                 | გარე განათება                                      |   |                               |                 |  |
|   |                    | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია          | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                    |   |                               |                 |  |
| 2 | ზემო ხოდაშენი(880) | 1. სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა     | სასმელი წყლის სისტემები                            | 16000   | 25220                         | 10000           | 780  |
|   |                    | 2.გარე განათების მოწყობა                 | გარე განათება                                      |   |                               |                 |  |
|   |                    | 3.გზის მოხრეშვა                          | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                    |   |                               |                 |  |
| 3 | ჩაბინაანი(128)     | 1.სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია | სასმელი წყლის სისტემები                            | 10000   | 9700                          |                 | 300  |
|   |                    | 2.სარწყავი სისტემის მოწყობა              | სარწყავი სისტემები                                 |   |                               |                 |  |
| 4 | ახალდაბა (10)      | 1.გადასასვლელები, ხიდბოგირები, გზა       | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები, გზა | 10000   | 9700                          |                 | 300  |
| 5 | ჩარექაული(10)      | 1.ხიდის რეაბილიტაცია                     | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები      | 10000   | 9700                          |                 | 300  |
|   |                    | 2.სანიაღვრე სისტემის მოწყობა             | სანიაღვრე არხები                                   |   |                               |                 |  |
|   |                    | 3.გადასასვლელის მოწყობა                  | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები      |   |                               |                 |  |
|   |                    | 4.გზის მოხრეშვა                          | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                    |   |                               |                 |  |

|    |                    |  |   |       |       |       |     |
|----|--------------------|--|---|-------|-------|-------|-----|
| 6  | ხველიანდრო(4)      | 1.გადასასვლელები   | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები     | 10000 | 9700  |       | 300 |
|    |                    | 2.ხიდბოგირის მოწყობა   | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები     |       |       |       |     |
|    |                    | 3.გზის მოხრეშვა  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                   |       |       |       |     |
| 7  | ხორხელი(244)       | 1. საბავშვო ბაღისათვის ინვენტარის შექმნა                                 | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი | 12000 | 26190 | 15000 | 810 |
|    |                    | 2.საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია  | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი |       |       |       |     |
| 8  | ოყიო(562)          | 1.სასმელი წყლის შიდა ქსელის რეზერვუარის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია | სასმელი წყლის სისტემები                           | 16000 | 25220 | 10000 | 780 |
| 9  | კოლოთო(415)        | 1.სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია                                 | სასმელი წყლის სისტემები                           | 16000 | 15520 |       | 480 |
| 10 | ალავერდი(131)      | 1.სანიაღვრე არხების მოწყობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციით                   | სანიაღვრე არხები                                  | 10000 | 19400 | 10000 | 600 |
| 11 | არაშენდა(120)      | 1.შიდა საუბნო გზის მოხრეშვა  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                   | 10000 | 9700  |       | 300 |
|    |                    | 2.გარე განათების მოწყობა   | გარე განათება                                     |       |       |       |     |
| 12 | ახშანი(233)        | 1.შიდა საუბნო გზების მოხრეშვა  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                   | 12000 | 16490 | 5000  | 510 |
|    |                    | 2.გარე განათების მოწყობა   | გარე განათება                                     |       |       |       |     |
|    |                    | 3.სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია                                    | სასმელი წყლის სისტემები                           |       |       |       |     |
|    |                    | 4.საბავშვო ბაღისთვის ეზოს სათამაშოების შექმნა                            | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი |       |       |       |     |
| 13 | ახშნის ველები(171) | 1.შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                   | 12000 | 11640 |       | 360 |
|    |                    | 2.გარე განათების მოწყობა   | გარე განათება                                     |       |       |       |     |
|    |                    | 3.სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია                                    | სასმელი წყლის სისტემები                           |       |       |       |     |

|    |                    |   |  |       |       |       |     |
|----|--------------------|---|--|-------|-------|-------|-----|
| 14 | ქისტაური(1768)     | 1.არხის გაწმენდა(მყრალა ხევი)                               | სანიაღვრე არხები   | 20000 | 29100 | 10000 | 900 |
|    |                    | 2.შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია                             | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |     |
|    |                    | 3.გარე განათების მოწყობა                                    | გარე განათება  |       |       |       |     |
| 15 | ახალშენი(239)      | 1.სანიაღვრე არხების გაწმენდა                                | სანიაღვრე არხები   | 12000 | 11640 |       | 360 |
|    |                    | 2.სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწესრიგება                     | სასმელი წყლის სისტემები                                  |       |       |       |     |
|    |                    | 2.საბავშვო ბაღის ეზოში გარე განათების ერთი წერტილის მოწყობა | გარე განათება  |       |       |       |     |
| 16 | საჩალე (7)         | 1.ხიდბოგირის მოწყობა  | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები            | 10000 | 14550 | 5000  | 450 |
| 17 | კოჯორი(20)         | 1.სოფელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია                     | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          | 10000 | 9700  |       | 300 |
|    |                    | 2. სასმელი წყლის საერთო წერტილის მოწყობა                    | სასმელი წყლის სისტემები                                  |       |       |       |     |
| 18 | დუისი(2146)        | 1.ტრენაჟორების მოწყობა                                      | სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი | 20000 | 29100 | 10000 | 900 |
|    |                    | 2.საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა                             | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი        |       |       |       |     |
| 19 | წინუბანი(250)      | 1.საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია                               | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი        | 12000 | 11640 |       | 360 |
| 20 | ქვემო ხალაწანი(90) | 1. სანიაღვრე არხების მოწყობა                                | სანიაღვრე არხები   | 10000 | 24250 | 15000 | 750 |
| 21 | ომალო(765)         | 1.სანიაღვრე არხის მოწყობა                                   | სანიაღვრე არხები   | 16000 | 25220 | 10000 | 780 |
|    |                    | 2.საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია              | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |     |
| 22 | დუმასტური(111)     | სანიაღვრე არხების მოწყობა                                   | სანიაღვრე არხები   | 12000 | 21340 | 10000 | 660 |
| 23 | შუა ხალაწანი(138)  | 1.სანიაღვრე არხების მოწყობა                                 | სანიაღვრე არხები   | 10000 | 9700  |       | 300 |

|    |                   |   |  |       |       |       |      |
|----|-------------------|---|--|-------|-------|-------|------|
| 24 | ზემო ხალაწანი(71) | 1.სანიაღვრე არხების მოწყობა                       | სანიაღვრე არხები   | 10000 | 9700  |       | 300  |
|    |                   | 2. შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია                  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
| 25 | ჯოყოლო(505)       | 1. სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია       | სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი | 16000 | 38800 | 24000 | 1200 |
|    |                   | 2. საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა, ბილიკის მოწყობა | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი        |       |       |       |      |
| 26 | ბირკიანი(550)     | 1. სანიაღვრე არხების მოწყობა                      | სანიაღვრე არხები   | 16000 | 15520 |       | 480  |
|    |                   | 2.მოსაცდელის მოწყობა                              | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
|    |                   | 3.გარე განათების მოწყობა                          | გარე განათება  |       |       |       |      |
|    |                   | 4.შიდა გზების მოხრეშვა                            | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
| 27 | ძიბახევი(70),     | სკვერის კეთილმოწყობა                              | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით        | 10000 | 9700  |       | 300  |
| 28 | საკობიანი(345),   | 1. სანიაღვრე არხების მოწყობა                      | სანიაღვრე არხები   | 16000 | 29100 | 14000 | 900  |
|    |                   | 2. ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია              | ამბულატორიის შენობები                                    |       |       |       |      |
| 29 | კუწახტა(72),      | 1. ხიდ ბოგირის მოწყობა                            | ხიდები, ცხურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები             | 10000 | 29100 | 20000 | 900  |
| 30 | ბაყილოვანი(64)    | 1. სანიაღვრე არხების მოწყობა                      | სანიაღვრე არხები   | 10000 | 24250 | 15000 | 750  |
|    |                   | 2. შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია                  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
| 31 | ყვარელწყალი(200)  | 1.ხიდ-ბოგირის მოწყობა                             | ხიდები, ცხურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები             | 12000 | 29100 | 18000 | 900  |
|    |                   | 2. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია                    | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი        |       |       |       |      |
| 32 | დედისფერული(40)   | 1.შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია                   | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          | 10000 | 24250 | 15000 | 750  |
|    |                   | 2.სასაფლაოს შემოღობვა                             | სასაფლაოების ტერიტორიის კეთილმოწყობა                     |       |       |       |      |

|    |                    |  |  |       |       |       |      |
|----|--------------------|--|--|-------|-------|-------|------|
| 33 | ქორეთი(144)        | 1.ხიდბოგირის რეაბილიტაცია                | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები            | 12000 | 11640 |       | 360  |
|    |                    | 2.სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია         | სანიაღვრე არხები   |       |       |       |      |
|    |                    | 3.გზის რეაბილიტაცია                      | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
| 34 | ხევისჭალა(32)      | 1.სოფელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          | 10000 | 19400 | 10000 | 600  |
| 35 | მატანი(4185)       | 1.გარე განათების მოწყობა                 | გარე განათება  | 20000 | 58200 | 40000 | 1800 |
|    |                    | 2.სანიაღვრე არხის მოწყობა                | სანიაღვრე არხები   |       |       |       |      |
|    |                    | 3.სპორტული ინვენტარის შექმნა             | სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი |       |       |       |      |
| 36 | ზ.ალვანი(3306)     | 1.სველი წერტილების მოწყობა               | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით        | 20000 | 38800 | 20000 | 1200 |
|    |                    | 2.ხიდბოგირის მოწყობა                     | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები            |       |       |       |      |
|    |                    | 2.შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია          | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
| 37 | ხორბალო(34)        | 2.სანიაღვრე არხის მოწყობა                | სანიაღვრე არხები   | 10000 | 19400 | 10000 | 600  |
| 38 | ქვემო ალვანი(2417) | 1.სასაფლაოს შემოღობვა, კეთილმოწყობა      | სასაფლაოების ტერიტორიის კეთილმოწყობა                     | 20000 | 19400 |       | 600  |
| 39 | ბაბანეური(134)     | 1.სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია | სასმელი წყლის სისტემები                                  | 10000 | 14550 | 5000  | 450  |
|    |                    | მოსაცდელის რეაბილიტაცია                  | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |       |      |
| 40 | მალრანი(386)       | 1. სანიაღვრე არხების მოწყობა             | სანიაღვრე არხები   | 16000 | 19400 | 4000  | 600  |

|    |                |   |  |       |       |  |     |
|----|----------------|---|--|-------|-------|--|-----|
| 41 | არგოხი(197)    | 1..სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია                        | სასმელი წყლის სისტემები                                  | 12000 | 11640 |  | 360 |
|    |                | 2.სანიაღვრე არხების მოწყობა                                   | სანიაღვრე არხები   |       |       |  |     |
| 42 | ფიჩხოვანი(242) | 1.სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა                            | სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი | 12000 | 11640 |  | 360 |
| 43 | შახვეტილა(132) | 1.სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა                      | სასმელი წყლის სისტემები                                  | 10000 | 9700  |  | 300 |
|    |                | 2.სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია                      | სასმელი წყლის სისტემები                                  |       |       |  |     |
| 44 | საბუე(3)       | 1.შიდა საუბნო გზის მოხრეშვა                                   | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          | 10000 | 9700  |  | 300 |
|    |                | 2.ხიდბოგირის შეკეთება   | ხიდები, ცხურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები             |       |       |  |     |
| 45 | ნადუქნარი(3)   | 1.სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა                      | სასმელი წყლის სისტემები                                  | 10000 | 9700  |  | 300 |
| 46 | ვეძები(28)     | 1.სასმელი წყლის სისტემის მოწყობა                              | სასმელი წყლის სისტემები                                  | 10000 | 9700  |  | 300 |
|    |                | 2.შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია                               | გზები და გზისპირა მოსაცდელელები                          |       |       |  |     |
| 47 | ჭართალა(35)    | 1.სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, ქსელის რეაბილიტაცია | სასმელი წყლის სისტემები                                  | 10000 | 9700  |  | 300 |
| 48 | ჯაბური(5)      | 1. სოფლის მიმდებარე ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება         | ნაპირსამაგრი სამუშაოები                                  | 10000 | 9700  |  | 300 |
| 49 | ჩაჩხრილა(29)   | 1.გარე განათების მოწყობა                                      | გარე განათება  | 10000 | 9700  |  | 300 |
|    |                | 2.სასაფლაოს კეთილმოწყობა                                      | სასაფლაოების ტერიტორიის კეთილმოწყობა                     |       |       |  |     |



|    |                  |   |   |       |       |       |     |
|----|------------------|---|---|-------|-------|-------|-----|
| 50 | ბულაანი(22)      | სოფლამდე მისასვლელი გზის და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია | გზები და გზისპირა მოსაცდელელები   | 10000 | 9700  |       | 300 |
| 51 | ბუხრები(4)       | 1.სასაფლაოს შემოღობვა, კეთილმოწყობა                       | სასაფლაოების ტერიტორიის კეთილმოწყობა  | 10000 | 9700  |       | 300 |
| 52 | კასრისწყალი(329) | 1.სკვერის მოწყობა   | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით   | 12000 | 21340 | 10000 | 660 |
|    |                  | 2.სველი წერტილი   | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით   |       |       |       |     |
| 53 | სოფ.ომალო (150)  | 1.სველი წერტილების მოწყობა                                | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით   | 10000 | 14550 | 5000  | 450 |
|    |                  | 2.გზისპირა ტერიტორიის კეთილმოწყობა(შემოღობვა)             | გზები და გზისპირა მოსაცდელელები   |       |       |       |     |
| 54 | ჭემო(4)          | 1.საცალფეხო ხიდის მოწყობა                                 | ხიდები, ცხურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები  | 10000 | 9700  |       | 300 |
|    |                  | 2.ტურისტული თავშეყრის ადგილის მოწყობა                     | გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება. |       |       |       |     |
| 55 | ხისო(5)          | 1.სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია                       | სასმელი წყლის სისტემები   | 10000 | 9700  |       | 300 |
| 56 | ქუმელაურთა (8)   | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და შიდა ქსელის მოწყობა     | სასმელი წყლის სისტემები   | 10000 | 9700  |       | 300 |
| 57 | ვერხოვანი (4)    | სველი წერტილების მოწყობა                                  | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით   | 10000 | 9700  |       | 300 |
| 58 | ინდურთა(1)       | სველი წერტილების მოწყობა                                  | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით   | 10000 | 9700  |       | 300 |
| 59 | ხადორი           | გარე განათებისათვის ქსელის რეაბილიტაცია                   | გარე განათება   | 10000 | 9700  |       | 300 |

სულ ჯამი:

716000

1009770

325000

31230